ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

ჩოკორაია კ., სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, თბილისი, 2021

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში

თბილისი
2021

ავტორი: კონსტანტინე ჩოკორაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ პროგრამის (USAID/PROLoG) ადგილობრივი ექსპერტი

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ს მთავრობის მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

1. შესავალი 4
2. კვლევის მიზანი 5
3. კვლევის ძირითადი არსი 6
4. კვლევის მეთოდოლოგია 6
5. განხორციელებული აქტივობები 6
6. დოკუმენტაციის ანალიზი 7
7. ინტერვიუირების შედეგები 13
8. ძირითადი რეკომენდაციები 18
9. დასკვნა 19

დანართი 1 20

1. შესავალი

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, განსაზღვრავს სამართალს როგორც რეგულირებად პროფესიას[1]. რეგულირებადი პროფესია გულისხმობს უმაღლესი სასწავლებლის მიერ კვალიფიკაციის მინიჭების გარდა, შესაბამისი გამოცდის ჩაბარებას და ამ ფორმით პროფესიაში შესვლის დადასტურებას. უმაღლესი განათლების კანონმდებლობა აწესებს რეგულირებადი პროფესიებისათვის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების აუცილებლობას.

სამართლის დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც სამართლის სფეროს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს.[2]

სამართლის პირველი დარგობრივი მახასიათებელი 2011 წელს დამტკიცდა, რომლის ფარგლებშიც სამართლის პროგრამების პირველადი აკრედიტაცია განხორციელდა. აღნიშნული მახასიათებელი 2020 წლის აპრილამდე მოქმედებდა. 2011 წელს მიღებული დარგობრივი მახასიათებლის შეცვლა რამდენიმე მნიშვნელოვანმა გარემოებამ გამოიწვია, მათ შორის ერთი მიზეზი ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცება იყო.[3] 2019 წელს შეიქმნა სამართლის დარგობრივი მახასიათებლის სამუშაო ჯგუფი, შემდგომ კი დარგობრივი საბჭო. საბოლოო დოკუმენტი კი სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორმა დაამტკიცა.

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, ახალი დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ 2020 წლის პირველი ივნისიდან განხორციელდა.

სამართლის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შემდგომ, აკრედიტაციის პროცესი წარიმართა 17 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 28 საგანმანათლებლო პროგრამაზე[4]. 2011-2012[5] წლებში აკრედიტებული სამართლის პროგრამების აკრედიტაცია რამდენჯერმა გადაიდო, მიზეზად ჯერ ავტორიზაციის, შემდგომ აკრედიტაციის ახალი სტანდარტების, ბოლოს კი ახალი დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების საჭიროება დასახელდა. საქართველოს მთავრობის

---

[1] უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 75

[2] იხ. სამართლის დარგობრივი მახასიათებელი, I შესავალი

[3] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.

[4] სამართლის დარგობრივი მახასიათებელი შეეხება სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, შესაბამისად კვლევის ფარგლებში მოცემულია მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები.

[5] თავდაპირველად აკრედიტაციის ვადად 5 წელი განისაზღვრა, შემდეგ კი 7 წლამდე გაიზარდა. 2011-2012 წლებში აკრედიტირებულ პროგრამებს რამდენჯერმე გაუგრძელდა აკრედიტაციის ვადა.

გადაწყვეტილებით ამ პროგრამების აკრედიტაციის ბოლო ვადად 2021 წლის 15 მარტი განისაზღვრა, რა პერიოდშიც პროგრამები ახალი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით შეფასდა.

მნიშვნელოვანია წარმართული პროცესის გაანალიზება, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკრედიტაციის ექსპერტების, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მომზადებული დოკუმენტების და ამ პროცესში ჩართული პირების პოზიციის გაანალიზება. რაც მომავალში სამართლის დარგობრივი მახასიათებლის იმპლემენტაციის პოზიტიურ თუ ნეგატიურ მხარეებს დაგვანახებს.

წარმოდგენილი დოკუმენტი მოიცავს აკრედიტაციის მიმდინარეობის პროცესის ანალიზს, ახალი დარგობრივი მახასიათებელის შესაბამისად შექმნილ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების მიმოხილვას. კვლევა ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ,,კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) პროგრამის ფარგლებში. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამები, სააკრედიტაციო დოკუმენტაცია, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს საჯაროდ განთავსებული მასალები[6]. წინამდებარე დოკუმენტი შეიცავს, როგორც მიმდინარე პროცესების ანალიზს, აგრეთვე სთავაზობს რეკომენდაციებს სსიპ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს და პროფესიულ საზოგადოებას თუ როგორ შეიძლება გაძლიერდეს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.

2. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია: შეფასდეს სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის დანერგვის პროცესი სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში მიმდინარე აკრედიტაციის ფარგლებში, გამოიკვეთოს რამდენად შეძლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა არსებული მოთხოვნების შესრულება, დადგინდეს რამდენად იყო გამოყენებული ერთგვაროვანი მიდგომები აკრედიტაციის პროცესში ჩართული ექსპერეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრების მხრიდან. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რეკომენდაციები, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების გაძლიერებას და დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მიზნების შესრულებას იურისტის პროფესიისთვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებისათვის.

[6] დოკუმენტები შესწავლილი სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდიდან www.eqe.ge მომაცემები აღებულია 2021 წლის 1 ივნისის მდგომარეობით.

3. კვლევის ძირითადი არსი

წინამდებარე კვლევა არ გულისხმობს სამართლის პროგრამების და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის შინაარსის სრულყოფილ შესწავლას, არამედ მოიაზრებს დარგობრივი მახასიათებლის გამოყენებისა და მისი იმპლემენტაციის შეფასებას მიმდინარე აკრედიტაციის პროცესში[7]. კვლევა მოიცავს სააკრედიტაციო დოკუმენტაციის და აკრედიტაციის პროცესში ჩართული პირების შეფასებების ანალიზს და მათ თანმდევ რეკომენდაციებს.

4. კვლევის მეთოდოლოგია

დოკუმენტზე მუშაობის დროს შეფასდა სააკრედიტაციო დოკუმენტაცია, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განათავსებული ინფორმაცია, ჩატარდა ინტერვიუები. გაანალიზებული დოკუმენტები მოიცავს 17 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 28 საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო მასალას, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამებს, თვითშეფასების ანგარიშებს, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებს (ოქმებს). პროგრამების შერჩევის კრიტერიუმი უკავშირდება ახალი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით პროგრამების შეფასებას. კვლევის ფარგლებში ექსპერტებთან, დაწესებულებების წარმომადგენლებთან, აკრედიტაციის საბჭოს წევრებთან ჩატარდა ინტერვიურება წინასწარ შედგენილი კითხვარების შესაბამისად.

5. განხორციელებული აქტივობები

კვლევა განხორციელდა 2021 წლის პირველი აპრილიდან 2021 წლის 1 ივნისამდე პერიოდში. აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID/PROLoG) პროგრამის წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა მოსამზადებელი შეხვედრა, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილესთან. ცენტრის დახმარებით განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხა, რომელიც კვლების პროცესში შეფასდა, აგრეთვე ცენტრის მხრიდან მოწოდებულ იქნა შესასწავლი დოკუმენტაცია. აპრილის პერიოდში შეფასებულ იქნა დოკუმენტაცია, მომზადდა კითხვარები და დაიგეგმა შეხვედრა აკრედიტაციის ექსპერტებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, საგანამანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრებთან. მაისის მეორე

[7] პერიოდი მოიცავს 2021 წლის პირველი ივნისიდან სააკრედიტაციო განაცხადით წარდგენილი სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებსი აკრედიტაციის პროცესს.

ნახევარში ჩატარებული ინტერვიუებისა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე მომზადდა ანგარიში.

6. დოკუმენტაციის ანალიზი

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა 17 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 28 საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო მასალა, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამები, თვითშეფასების ანგარიშები, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმები (გადაწყვეტილებები).

დაწესებულებების ჩამონათვალი:

N	**საგანმანათლებლო დაწესებულკება**	**საგანმანათლებლო პროგრამა**	**საფეხური**
1	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
2	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
3	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	სამართალი	მაგისტრატურა
4	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
5	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართალი	მაგისტრატურა
6	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საერთაშორისო სამართალი	ბაკალავრი
7	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საერთაშორისო სამართალი	მაგისტრატურა
8	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სამართალმცოდნეობა	ბაკალავრი
9	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
10	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სამართალი	მაგისტრატურა
11	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი

12	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	კერძო (ბიზნეს) სამართალი	მაგისტრატურა
13	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
14	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სისხლის სამართლი	მაგისტრატურა
15	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	საერთაშორისო სამართალი	მაგისტრატურა
16	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
17	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	სამართალი	მაგისტრატურა
18	ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
19	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
20	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
21	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამართალი	მაგისტრატურა
22	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	სამართალი	მაგისტრატურა
23	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
24	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
25	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართალმცოდნეობა	ბაკალავრი
26	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართალი	მაგისტრატურა
27	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართალი	ბაკალავრი
28	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართალი	მაგისტრატურა

ძირითადი მიგნებები

დოკუმენტაციის ანალიზით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებების უმრავლესობამ შეძლო დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინება. დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან მცირე დროის მიუხედავად, პროგრამები მოერგო არსებულ მოთხოვნებს, თუმცა გარკვეული ტიპის გამოწვევები პროგრამებში მაინც შეინიშნება. პრობლემებს აძლიერებს ექსპრეტებისა და საბჭოს წევრების მხრიდან შემთხვევების ნაწილში არათანმიმდევრული მიდგომა, რაც თავისთავად დახვეწას და შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს. ქვემოთ წარმოდგენილია ის პრობლემები, რომელიც ყველაზე მეტად ფიქსირდება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამებთან მიმართებით. დასაფასებელია ექსპერეტების, დაწესებულებების წარმომადგენლების და საბჭოს წევრების შრომა, რომელიც მათ გასწიეს აკრედიტაციისა პროცესში. ძირითად მიგნებებში წარმოდგენილია პრობლემური საკითხები, რაზეც მომავალში მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს, რათა ხელი შეეეწყოს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას.

დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ პრობლემები ფიქსირდება სამაგისტრო საფეხურზე პრაქტიკული კომპონენტის განხორცილების პროცესში; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა ინსტიტუციასთან, თუმცა პრაქტიკის განმახორცილებელ ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის დაკონკრეტებული დეტალური ინფორმაცია სტუდენტების რაოდენობის შესახებ, თუ რამდენი სტუდენტი შეძლებს პრაქტიკის გავლას და ვინ იქნება პასუხისმგებელი მათთან კომუნიკაციისას. მნიშვნელოვანია მკაფიოდ იყოს განსაზღვრული დაწესებულების შესაძლებლობა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში. აუცილებელია, განისაზღვროს სტუდენტების ზუსტი რაოდენობა, რაც დადასტურდება პრაქტიკის ობიექტის რეალური შესაძლებლობით. სტუდენტებს უნდა შეექმნათ გარემო, სადაც მათი ინდივიდუალური მუშაობის და მათი საქმიანობის შეფასების შესაძლებლობა იქნება. პრაქტიკული უნარების განვითარება მნიშვნელოვანია საბაკალავრო საფეხურზე, რაც, ძირითადად, პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიკული საგნების) სწავლებისას ხორციელდება. თუმცა, მნიშვნელოვანია პრაქტიკული საგნების გარდა, საბაზისო თეორიულ კურსებშიც იყოს პრაქტიკული სწავლების საკითხები ინტეგრირებული. ხშირია პრობლემა, როდესაც საბაზისო კურსებში, მით უმეტეს ისეთ საგნებში, რომლებიც პრაქტიკულ უნარებს უნდა ავითარებდეს, არ არის განსაზღვრული პრაქტიკული დავალებები. მით უმეტეს დარგობრივი მახასიათებელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უნარების განვითარებასა და საფეხურის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულის შესაძლებლობას მოამზადოს იურიდიული დოკუმენტები.

გასაკუთრებულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სწავლის შედეგების ფორმულირება საგანმანათლებლო პროგრამებში. აკრედიტაციის ექსპერტები

დასკვნებსა და აკრედიტაციის საბჭოს ოქმებში აღნიშნავენ, რომ სწავლის შედეგები ხშირ შემთხვევაში პროგრამებში დუბლირებულია დარგობრივი მახასიათებლიდან. რთულია პროგრამებს შორის განსხვავების აღმოჩენა და არ იკვეთება დაწესებულების ინდივიდუალური მიდგომა, რაც პროგრამის სპეციფიკურობას და განსაკუთრებულობას გამოხატავს. თუმცა, სწავლის შედეგების ფორმულირების შეფასებისას არ არის ერთგვაროვანი მიდგომა საბჭოსა და ექსპერტების მხრიდან, ზოგიერთ შემთხვევაში აქცენტი კეთდება სწავლის შედეგების დარგობრივი მახასიათებლისგან განსხვავებულად ჩამოყალიბების აუცილებლობაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი ამას საერთოდ ყურადღება არ ეთმობა. მით უმეტეს დარგობრივი მახასიათებელი ადგენს მინიმალურ, ზოგადი ხასიათის მოთხოვნას და მისი გამეორება სტანდარტის პირდაპირ დარღვევად არ უნდა ჩაითვლოს. აქ მნიშვნელოვანია დაწესებულებებისათვის მკაფიო განმარტების გაკეთება, რომ მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების იმგვარად ჩამოყალიბება, რომ პროგრამის ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები იყოს გათვალისწინებული, რაც მის ინდივიდუალურობას უფრო მკაფიოდ გამოხატავს.

სწავლის შედეგების განსაზღვრასთან ერთად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამებში. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბებისას, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ დარგობრივ მახასიათებელში საკმაოდ დიდი რაოდენობით არის განსაზღვრული კომპეტენციები, რომლის შეფასებაც პრაქტიკაში საკმაოდ პრობლემურია. მნიშვნელოვანია დაწესებულების ინდივიდუალური მიდგომის წახალისება როგორც სწავლის შედეგების ფორმულირებაში, აგრეთვე მისი შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბებაში. აკრედიტაციის პროცესი და დარგობრივი მახასიათებელი ხელს უნდა უწყობდეს საგანმანათლებლო დაწესებულების გუნდს, ფორმალური რეგულაციების შესრულების ვალდებულების გარეშე, იმუშაოს პროგრამის გაძლიერებისათვის.

საინტერესო საკითხს წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის მიმართლებით საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება. საერთაშორისო სამართლის პროგრამებში პრობლემურ საკითხად რჩება შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლებრივი საკითხების ურთიერთმიმართების საკითხი და მათი განაწილების პროპორცია პროგრამებში. დარგობრივი მახასიათებლის ეროვნული სამართლის სისტემაზე ორიენტირება დაწესებულებებს უბიძგებს, მათ შორის - საერთაშორისო სამართლის პროგრამებში, მეტი აქცენტი გაკეთდეს ეროვნულ კანონმდებლობაზე. თუმცა, მკაფიო ხედვას საერთაშორისო სამართლის პროგრამების შინაარსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, დარგობრივი მახასიათებელიც არ გვთავაზობს. განსაკუთრებით ეს პრობლემა სამაგისტრო საფეხურზე დგას, რადგანაც დარგობრივი მახასიათებელი სამაგისტრო დონეზე დარგის შინაარსობრივ მხარეზე ნაკლებ აქცენტს აკეთებს.

სამართლის დარგობრივ მახასიათებელში სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგებში განსაზღვრულია, რომ სტუდენტმა უნდა იცოდეს მათ შორის ევროკავშირის სამართლის გავლენა შიდა სამართალზე. აღნიშნული ჩანაწერის არსებობა დარგობრივ მახასიათებელში დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების გათვალისწინებით, თუმცა ხშირ შემთხვევაში სამაგისტრო პროგრამებში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული რომელი სასწავლო კურსები გადის სამაგისტრო საფეხურისთვის გათვალისწინებულ ამ სწავლის შედეგზე, რაც ხშირად ექსპერტების მხრიდან აკრედიტაციის დასკვნებში აისახება.

დაწესებულებების პროგრამების ნაწილში შეინიშნება სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის საგნების ერთმანეთისგან გამიჯვნის პრობლემა. მეორდება კურსების სათაურები, საგნების შინარსი, თემატიკა და ლიტერატურა. დაწესებულებების პოზიციით საგნების დამთხვევა არ გულისხმობს მისი შინაარსის დამთხვევას, რაც ექსპერტებისთვის და საბჭოს წევრებისთვის არ არის დასაბუთებული არგუმენტი. საფეხურებს შორის გამიჯვნის პრობლემა უკავშირდება იმ საკითხს, რომ დარგობრივი მახასიათებელი მკაფიოდ არ გამოყოფს, თუ რა არის ის მთავარი მიმართულებები, რითაც სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. თუმცა ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი პრობლემა უკავშირდება საქართველოში იურიდიული პროფესიისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ადვოკატის, პროკურორის და ნოტარიუსის პროფესიაში შესვლა საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია, რაც, თავისთავად, დარგის საკითხების სიღრმისეულ ცოდნას მოითხოვს. მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს სამაგისტრო საფეხურისათვის არსებული მოთხოვნები, რაც პრაქტიკული ცოდნის, შედარებით-სამართლებრივი კომპონენტის გაძლიერებას უნდა უკავშირდებოდეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები ერთი დაწებულების სხვადასხვა პროგრამის შეფასებისას არის იდენტური, მათ შორის - რჩევებისა და რეკომენდაციების ნაწილში. რა თქმა უნდა, ასეთი დუბლირება შესაძლებელია სხვადასხვა სტანდარტთან მიმართებით დაფიქსირდეს, თუმცა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განსხვავებული ხასიათი ნათლად არ ჩანს. სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით რჩება გაურკვევლობა, პროგრამებში არჩევით და სავალდებულო საგნებს შორის ზუსტი თანაფარდობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია არჩევითი კომპონენტის გაძლიერება პროგრამებში, თუმცა დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი მინიმალური მოთხოვნები სავალდებულო კურსებში უნდა შესრულდეს.

დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ ხშირია ერთი და იმავე საფეხურის ქვეშ საკითხების დუბლირების პრობლემა სხვადასხვა სასწავლო კურსში. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, რთულია ამ საკითხზე მკაცრი მიდგომის ჩამოყალიბება, რადგანაც ხშირად საკითხების გამეორება სხვადასხვა სასწავლო კურსში აუცილებელია დარგობრივი შინაარსის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია აკრედიტაციის ექსპერტებმა დააფიქსირონ ერთი და იმავე შინაარსის კურსები,

რომელიც სხვადასხვა სახელით არის წარმოდგენილი და მათ მიერ გათვალისწინებული სწავლის შედეგები იდენტურია.

სასწავლო პროგრამების ნაწილს აქვს პრობლემა სასწავლო კურსების წინაპირობების განსაზღვრაში და დარგობრივი მახასიათებლის დაკმაყოფილების თვალსაზრისით, რაც ხშირად აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციით არის განპირობებული. მნიშვნელოვანია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გარკვეული ნაბიჯები გადადმა.

საბჭოს ოქმებში ხშირად საუბარი მიმდინარეობს შრომის ბაზრის კვლევის აუცილებლობაზე. საგანმანათლებლო დაწესებულებების მწირი ფინანსური რესურსიდან გამომდინარე, რთულია თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შრომის ბაზრის სრულყოფილი კვლევის ჩატარება. სამართალი, როგორც რეგულირებადი პროფესია, რომლის სწავლებისათვის დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს ძირითად კომპეტენციებს, შესაძლებელობას ქმნის, რომ დაწესებულებებს შორის გაძლიერდეს თანამშრომლობა საერთო შრომის ბაზრის კვლევის ჩასატარებლად, რაც პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით უმაღლეს სასწავლებლებს მისცემს შესაძლებლობას ასახონ მათთვის რელევანტური ინფორმაცია პროგრამებში. მით უმეტეს ქართული იურიდული ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის სიმწირიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ სპეციფიკას მომავალი დასაქმებულებისთვის არ ითხოვს. შრომის ბაზრის კვლევის შეფასების პროცესში ხშირია ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან არაერთგვაროვანი მიდგომების ჩამოყალიბება, მაგალითისთვის, რამდენიმე რეგიონალური უნივერსიტეტის სამართლის პროგრამების მიმართ დაფიქსირებულ რეკომენდაციებში, საუბარია შრომის ბაზრის კვლევის პრობლემებზე, კერძოდ, დაწესებულებების მხრიდან მხოლოდ რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით შესწავლილ შრომის ბაზარზე, რადგანაც კურსდამთავრებული შესაძლებელია არ დასაქმდეს მხოლოდ იმ რეგიონში. რაც თავისთავად არათანმიმდივრული მიდგომაა, რადგანაც პროგრამის თავისებურებისა და რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნილი დოკუმენტი სწორედ ინდივიდუალური მიდგომის ნათელი მაგალითია. რაც თავისთავად ხელს არ უწყობს განსხვებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას.

აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნის მიღმაც გამოითქმება შენიშვნები, რაც ზოგჯერ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ჩარევასაც გულისხმობს. ვაწყდებით შემთხვევებს, როდესაც სასწავლო კურსების შინაარსის განსაზღვრისას საბჭოს წევრები, საკუთარი სუბიექტური შეხედულებების გათვალისწინებით, ითხოვენ თემატიკის თანმიმდევრობის განსაზღვრას, რაც თავისთავად უფრო აკადემიური თავისუფლების პრინციპთან მოდის წინააღმდეგობაში. ექსპერტებისა და საბჭოს წევრების მხრიდან არის შემთხვევები, როდესაც მოითხოვება პროგრამებში ისეთი საკითხების ასახვა, რომელიც დარგობრივ მახასიათებელში პირდაპირ არ არის განსაზღვრული,

მაგალითად, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, რაც თავისთავად დაწესებულების გადასაწყვეტია, თუ როგორი სპეციფიკით შეადგენს პროგრამას.

პრობლემად შეიძლება შეფასდეს ექსპერტების, შემდგომ კი აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან, რეკომენდაციებისა და რჩევების არათანმიმდევრული ასახვა დოკუმენტაციაში, რაც სხვადასხვა დაწესებულების მიმართ განსხვავებულად გამოიხატება. მნიშვნელოვანია, სუბიექტური მიდგომა გამოირიცხოს და პრაქტიკა იყოს ერთგვაროვანი.

დოკუმენტების შესწავლით გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებული პრობლემები არსებობს რეგიონურ უნივერსიტეტებთან მიმართებით. პროგრამების დიდ ნაწილში ვხდებით ისეთ არსებით პრობლემებს, რომელიც უკავშირდება პროგრამის სტრუქტურას, საგნების დაშვების წინაპირობების ჩამოყალიბებას, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებას, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების არსებობას, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების შინარსობრივ გამიჯვნას. მნიშვნელოვანია, ადამიანური რესურსების გაძლიერების მიზნით გარკვეული ნაბიჯების გადადგმაც.

7. ინტერვიუირების შედეგები

კვლევის მიმდინარეობისას, კერძოდ, დოკუმენტაციის ანალიზის პროცესში გამოიკვეთა პირთა წრე, რომელთანაც საჭირო გახდა ინტერვიუების ჩატარება და ძირითად პრობლემებზე საუბარი. ინტერვიუები ჩატარდა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, აკრედიტაციის ექსპერტებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრებთან.

შეხვედრებისათვის მომზადებულ იქნა კითხვები ინდივიდუალურად, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის, აკრედიტაციის ექსპერტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის საბჭოს წევრებისთვის.[8]

ძირითადი მოსაზრებები:

ინტერვიუების დროს ყურადღება გამახვილდა კითხვარებში წარმოდგენილ საკითხებზე. ქვემოთ ვისაუბრებთ იმ ძირითად მოსაზრებებზე, რომლებიც ექსპერტების, აკრედაციის საბჭოს წევრების და დაწესებულებების მხრიდან გამოიკვეთა, როგორც პრობლემური საკითხები.

აკრედიტაციის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამები ხშირ შემთხვევაში შაბლონურია და სილაბუსები ერთმანეთის მსგავსია,

[8] კითხვები იხილეთ დანართ 1-ში

რაც ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბების შესაძლებლობას არ ქმნის. პროგრამების ასეთი შინაარსს მათ შორის პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის მცირე რაოდენობა განსაზღვავს და არ არის ფართო ჩართულობა უზრუნველყოფილი (მათ შორის აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების). განსაკუთრებით პრობლემები შეინიშნება რეგიონურ უნივერსიტეტებში, რაც ადამიანური რესურსების ნაკლებობით აიხსნება. ესპერტთა ნაწილი თვლის, რომ უმჯობესია პროგრამები იყოს მსგავსი, რაც დაწესებულების მხრიდან ნაკლები შეცდომის დაშვების საფრთხეს ქმნის.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო არაერთგვაროვნად უყურებს საგანმანათლებლო პროგრამებს, რასაც ხშირად დაწესებულების ფაქტორი განსაზღვავს, რამდენად წარმატებულია და ცნობადია უნივერსიტეტი.

ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ, აკრედიტაციის მეხუთე სტანდართან[9] დაკავშირებულ საკითხებზე. ხშირ შემთხვევაში სტანდარტის არაერთგვაროვანი გაგება არსებობს, როდესაც გარე შეფასების მექანიზებში დაწესებულებების ნაწილს გარე ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასების აუცილებლობას სთხოვენ. ნაკლები ყურადღება ეთმობა ხარისხის მექანიზმების შეფასებას, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია პროგრამების შეფასების პროცესში. გამართული ხარისხის მექანიზმების არსებობა აღმოფხვრის ბევრ პრობლემას, რომელიც სილაბუსების შინაარსში, კურსებს შორის დამთხვევასა და კურსების დუბლირებებში გამოიხატება. არ ჩანს პერსონალის ჩართულობა პროგრამების შემუშავების პროცესში, რაც თავისთავად ხარისხის მექანიზმების მუშაობის პრობლემას უკავშირდება.

ექსპერტებისთვის განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან პროგრამების სიღრმეებში შესვლა, როდესაც არ არის დაცული პროპორციულობა თუ სად გადის ზღვარი სტანდარტის მოთხოვნასა და აკადემიურ თავისუფლებას შორის. ხშირია შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი პროცედურები ირღვევა, საბჭო შედის ექსპერტის კომპეტენციაში და დაწესებულების წარმომადგენლებს არ აქვთ საშუალება მოემზადონ პოზიციის ჩამოსაყალიბებლად.

ექსპერტები საუბრობენ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პრობლემებზე. მათი თქმით, საბჭო ყურადღებას არ ამახვილებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის სასწავლო პრაქტიკის განხორციელება მემორანდუმების შესაბამისად. მემორანდუმების უდიდესი ნაწილი არ ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნას, რომ მკაფიოდ და კონკრეტულად იყოს განსაზღვრული

[9] უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცის 5 სტანდარტი არსებობს. მე-5 სტანდარტი შეეხება სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებს. სტანდარტის მიხედვით ,,სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.“

იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომელიც პრაქტიკის ობიექტზე იქნება გაგზავნილი. მემორანდუმების უმრავლესობა ფორმალისტურ ხასიათს ატარებს, რთულია იმის დადგენა, თუ რეალობაში როგორც ხორციელდება პრაქტიკა.

ექსპერტები საუბრობენ, რომ სწავლის შედეგები იმეორებს დარგობრივი მახასიათებლის შინაარს, დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე. აგრეთვე პროგრამებზე მუშაობის პროცესში არ არის გამოყენებული წინა აკრედიტაციის გამოცდილება.

პრობლემად რჩება შრომის ბაზრის კვლევა და დაწესებულების საჭიროებების გათვალისწინება პროგრამებში, რამაც უნდა უბიძგოს დაწესებულებებს გააერთიანონ ძალები, ერთობლივი შრომის ბაზრის კვლევის ჩასატარებლად.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ხშირ შემთხვევაში რთულია საბაკალავრო და სამაგისტო პროგრამების შინარსის ერთმანეთისგან გამიჯვნა და ხდება პროგრამებს შორის გადაფარვა, როგორც დოკუმენტურად, ასევე სწავლების პროცესში. შეუძლებელია ექსპერტების ეს პოზიცია არ გაიზიარო, თუმცა საფეხურებს შორის დამთხვევის პრობლემა, ასევე დგას არსებული დარგობრივი მახასიათებლის გამოც. სამაგისტრო საფეხურის დონეზე არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი რითი უნდა განსხვავდებოდეს ის ბაკალვრიატისგან. მარტო კომპეტენციების გამიჯვნა არ არის საკმარისი.

ექსპერტები საუბრობენ, რომ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება დარგობრივი მახასიათებლის განმარტებისას არის მნიშვნელოვანი, რაც ნაკლებ შანსს დაუტოვებს ექსპერებსაც და საბჭოს განსხვავებულად შეაფასონ პროგრამები. შესაძლებელია, დარგობრივ მახასიათებელში სწავლის შედეგებთან მიმართებით გადაიხედოს უნარების ნაწილი, ასევე სხვადასხვა კომპეტენცია ერთმანეთთან გაერთიანდეს და ისე ჩამოყალიბდეს.

საბჭოს წევრების მოსაზრებით, დიზაინის და სტუქტურის იდენტურობა შეინიშნება საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას არ იძლევა. აქვე საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ შესაძლებელია დარგობრივი მახასიათებლის კიდევ უფრო დაკონკრეტება გახდეს საჭირო, კურსების ჩამონათვალის გაკეთებით. რაც დაწესებულებების მხრიდან დარგობრივი მახასიათებლის შესრულების პრობლემას მოხსნის. თუმცა, აქ აღსანიშანავია ის ფაქტი, რომ პროგრამების ინდივიდუალურობა და შინაარსობრივი განსხვავება ვეღარ იქნება მიღწეული.

საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ ხშირ შემთხვევაში არსებობს კვალიფიციური კადრების პრობლემა, რაც თავისთავად პროგრამისა და სასწავლო კურსების შინაარსში გამოიხატება. მნიშველოვანია, დაწესებულებები გაძლიერდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალით. პროგრამები, ძირითადად, ერთეული ადამიანების შექმნილია და პროგრამის შინაარსში მნიშვნელოვანი პრობლემები შეინიშნება.

საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ პრობლემა არსებობს სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების გამიჯვნის თვალსაზრისით. მათი თქმით, მნიშვნელოვანია საბაკალავრო საფეხურზე მეტი აქცენტი გაკეთდეს საბაზისო საგნებზე, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე გამოიკვეთოს სპეციალიზაციის საგნები. საბაკალავრო საფეხურზე ღრმა და ფუნდამენტური ცოდნა უნდა მიეცეს სტუდენტს. საბჭოს წევრების ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება მომავალში იურიდიული განათლების კანონის შექმნის აუცილებლობაზე. საბჭოს წევრების ნაწილის მოსაზრებით შესაძლებელია საბაკალავრო საფეხურზე სავალდებულო საგნების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდოს.

საბჭოს წევრები საუბრობენ პროფესიაში შესვლის მოთხოვნების შეცვლის და მისი ერთიან სტანდარტში მოქცევის შესახებ. მათი მოსაზრებით აუცილებელია დაიწყოს ფართო დისკუსია აღნიშნულ საკითხზე.

საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ პროგრამების სწავლის შედეგები იმეორებს დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ შედეგებს, საგნების უმრავლესობა კი მექანიკურად არის დაკავშირებული კომპეტენციებთან, ასევე არსებობს პრობლემები სამიზნე ნიშნულების დადგენასა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების არსებობასთან.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შემდგომ გარკვეული ცვლილებები შეიტანეს პროგრამებში, რაც გამოიხატება ძირითადად სამაგისტრო საფეხურზე პრაქტიკული კომპონენტის, სამოსამართლო სამართლის, სამოსამართლო ეთიკის სწავლების გაძლიერებით, ევროკავშირის სამართლის სწავლებით. საბაკალავრო საფეხურზე დაიხვეწა სწავლა-სწავლების მეთოდები, პროგრამებში გაძლიერდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სწავლება.

დაწესებულებების წარმომადგენელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გასაძლიერებელია დარგობრივი წარმომადგენლობა აკრედიტაციის საბჭოში და საჭიროა სისტემური ცვლილებები იურიდიული განათლების სფეროში, რაც მოიცავს კანონმდებლობის შეცვლას, მათ შორის პროფესიაში შესვლის შესაძლებლობების გადახედვას რაც თავისთავად სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებების ახლებურად შექმნის შესაძლებლობას მოგვცემს.

გამოითქვა მოსაზრებები საბჭოსა და ექსპერტების არაერთგვაროვანი მიდგომების და სუბიექტური დამოკიდებულებების თაობაზე, რაც ხშირად გამოიხატება დარგობრივი მახასიათებლის ერთგვაროვანი გაგების პრობლემაში. მნიშვნელოვანია, მუდმივი შეხვედრები და დარგობრივი მახასიათებლის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის პრაქტიკის დამკვიდრება. ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს დარგობრივი მახსიათებლის კომენტარების/განმარტებების დაწერის აუცილებლობის შესახებ .

დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საკამარისი დრო არ იყო აკრედიატაციის პროცესისათვის მოსამზადებლად, კერძოდ, ახალი დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შემდგომ პროგრამების გადამუშავება დაჩქარებულად მოხდა.

დაწესებულებების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კურსის შინაარსის აგება არის აკადემიური პერსონალის თავისუფლების ნაწილი, მთავარია პროგრამა გადიოდეს შედეგზე, დანარჩენ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომა უნდა იყოს გადამწყვეტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გამიჯვნისას მნიშვნელოვანია, ჩვენ კანონმდებლობაში არსებული პრობლემები, კერძოდ, კვალიფიკაციათა ჩარჩო საბაკალავრო საფეხურზე მიუთითებს, რომ ის ზოგად ცოდნას გულისხმობს, როდესაც პროფესიული მოთხოვნებით იურისტი ადვოკატის, ნოტარიუსის და პროკურორის პროფესიაში საბაკალავრო საფეხურის გავლით შედის. მნიშვნელოვანია, სამაგისტრო საფეხურზე არსებული რეალობის გათვალისწინებით მეტი ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო და შედარებით-სამართლებრივ კომპონენტზე.

დაწესებულების წარმომადენლები საუბრობენ საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტაციის პროცედურების არასწორ ინტერპრეტაციაზე. საბჭოს წევრები ხშირად აკრედიტაციის ექსპერტების ფუნქციას ასრულებენ, რომლებიც ექსპერტთა დასკვნის მიღმა დამატებით შენიშვნებს ადგენენ და საბჭოზე საკითხს ამ ფორმით განიხილავენ.

მოკლე შეჯამება:

აკრედიტაციის ექსპერტების, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრების და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების პოზიცია ადასტურებს იმ პრობლემურ საკითხებს, რომელიც აკრედიტაციის დოკუმენტაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში გამოიკვეთა. პრობლემები ძირითადად შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: არერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობა დარგობრივი მახასიათებლის განმარტების საკითხში, სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის ერთმანეთისგან გამიჯვნა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დახვეწა, პრაქტიკული უნარების განვითარება, შრომის ბაზრის კვლევა, აგრეთვე პროგრამების შექმნის პროცესში ინდივიდუალური მიდგომების არსებობის აუცილებლობა.

8. ძირითადი რეკომენდაციები

რეკომენდაციები დაფუძნებულია დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგებზე. რეკომენდაციები წარმოდგენილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის:

- რეკომენდებულია დაიწყოს მსჯელობა კლასტერული აკრედიტაციის მოდელის დანერგვაზე და საბჭოს შემადგენლობაში სამართლის სპეციალისტების რაოდენობის გაზრდაზე;
- რეკომენდებულია ფართო დისკუსიის დაწყება პროფესიაში შესვლის სტანდატის დახვეწასთან დაკავშირებით;
- მნიშვნელოვანია დაიხვეწოს აკრედიტაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესი, მათ შორის აუცილებელია აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტთა ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებით მიდგომების შეცვლა. აღნიშნული გააძლიერებს პროცესისადმი ნდობას და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის მნიშვნელობას;
- მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტების შერჩევის პროცედურები და დაიგეგმოს მათი ტრენინგები ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით;
- მნიშვნელოვანია გაძლიერდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა ხარისხის განვითარების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის;
- მნიშვნელოვანია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის ინტერპრეტაციის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, დაიგეგმოს საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკრედიტაციის ესპერტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით ერთობლივი ღონისძიებები;
- მნიშვნელოვანია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის ინტერპრეტაციის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით დაიწყოს დარგობრივი მახასიათებლის კომენტარზე მუშაობა;
- მნიშვნელოვანია, შეიქმნას მექანიზმები რეგიონული უნივერსიტეტების მხარდასაჭერად, მათ შორის არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- მნიშვნელოვანია, მკაფიოდ გაიმიჯნოს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამები, მათ შორის დარგობრივ მახასიათებელში შესაბამისი მინიშნებების გაკეთებით;

- მნიშვნელოვანია, დარგობრივ მახასიათებელში გადაიხედოს სწავლის შედეგების ის ნაწილი, რომელიც შეეხება უნარებს, რათა აღმოიფხვრას დუბლირების შესაძლებლობა;
- მნიშვნელოვანია დაიწყოს მსჯელობა იურიდიული განათლების სისტემური ხედვის ჩამოყალიბების მიზნით, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებების და ექსპერტების ფართო ჩართულობის უზრუნველყოფით.

საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის:

- მნიშვნელოვანია, გაიზარდოს დაწესებულებების ინდივიდუალური მიდგომები პროგრამების სწავლის შედეგების და შინაარსის განსაზღვრისათვის, სადაც გამოიკვეთება დაწესებულების ინდივიდუალური მიდგომები;
- მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს დაწესებულებების თანამშრომლობა შრომის ბაზრის კვლევის ერთობლივი დოკუმენტის შესამუშავებლად;
- მნიშვნელოვანია, დაწესებულებებმა მეტი აქცენტი გააკეთონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ამუშავებაზე;
- მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს პრაქტიკული უნარების გამომუშავების კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამებში, მათ შორის შესაბამისი ტრეინინგების ჩატარებისა და რეალურად განხორციელებადი მემორანდუმების დანერგვის გზით;
- მნიშვნელოვანია გაძლიერდეს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, მათ შორის თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენების გაძლიერებით სამართლის სწავლების პროცესში;
- მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სტუდენტებისათვის ტრანსფერული და კვლევითი უნარების განვითარების პროცესი, მათ შორის სწავლის შედეგებში შესაბამისი აღნიშვნით.

9. დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა დაფუძნებულია აკრედიტაციის დოკუმენტებსა და პროცესში მონაწილე მხარეების მიერ მოსაზრებების ანალიზზე. დოკუმენტში ძირითად წარმოდგენილია პრობლემური ასპექტები, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ექსპერტებს, საბჭოს წვრებსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაეხმარება შემდგომში პროცესების უკეთ წარმართვაში. მხარეებს შორის მეტი კომუნიკაცია და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა პროცესის გაჯანსაღების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მეტ შესაძლებლობას შექმნის.

დანართი 1

კითხვები საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან:

1. ახალი დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, რა იყო ის ძირითადი პრობლემები, რომელიც პროგრამებზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა?
2. რა ძირითად პრობლემებს გამოყოფდით სამართლის პროგრამების აკრედიტაციის პროცესში?
3. რა არის ის ძირითადი ცვლილებები, რომელიც სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის ამოქმედების შემდეგ პროგრამებში განხორციელდა?
4. თქვენი აზრით, რამდენად საჭიროებს სამართლის დარგობრივი მახასიათებელი ცვლილებებს არსებულ კომპეტენციებთან მიმართებით?
5. რამდენად არის უზრუნველყოფილი პრაქტიკული უნარების გამომუშავება საბაკალავრო საფეხურზე?
6. თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის პროგრამების შინაარსობრივი გამიჯვნის პრობლემა?
7. თქვენი აზრით, რა დამატებითი სავალდებულო მოთხოვნების დაწესება გვჭირდება დარგობრივ მახასიათებელში?
8. როგორ უზრუნველყოფთ სამაგისტრო საფეხურზე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას?
9. რა არის ის რესურსები რომლის გაძლიერებაც აუცილებელია თქვენს პროგრამებში?
10. რამდენად გაგიჭირდათ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, დაგეხმარათ თუ არა დარგობრივი მახასიათებელი?
11. როგორ ატარებთ შრომის ბაზრის კვლევას, რა პრობლემებს ხედავთ ამ მიმართულებით?
12. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა როგორ მუშაობს თქვენს პროგრამებთან მიმართებით?
13. რა იყო ის ძირითადი რეკომენდაციები და რჩევები ექსპერეტებისგან, რომელიც დაგეხმარებათ პროგრამების განვითარებაში?

კითხვები აკრედიტაციის ექსპერტებთან:

1. რა ძირითად პრობლემებს გამოყოფდით სამართლის პროგრამების აკარედიტაციის პროცესში?
2. რა არის ის ძირითადი მიგნებებები, რომელიც სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის ამოქმედების შემდეგ შეინიშნება პროგრამებში?
3. თქვენი აზრით, რამდენად საჭიროებს სამართლის დარგობრივი მახასიათებელი ცვლილებებს არსებულ კომპეტენციებთან მიმართებით?

4. რამდენად არის უზრუნველყოფილი პრაქტიკული უნარების გამომუშავება საბაკალავრო საფეხურზე?
5. თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის პროგრამების შინაარსობრივი გამიჯვნის პრობლემა?
6. თქვენი აზრით, რა დამატებითი სავალდებულო მოთხოვნების დაწესება გვჭირდება დარგობრივ მახასიათებლებში?
7. თქვენი აზრით, რამდენად შეძლეს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების გათვალისწინება?
8. რამდენად განსხვავდებოდა საგანმანათლებლო პროგრამები დაწესებულებების მიხედვით?
9. როგორ აფასებთ პროგრამების მიხედვით შრომის ბაზრის კვლევას, რა პრობლემებს ხედავთ ამ მიმართულებით?
10. რას ფიქრობთ რამდენად არის უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები არსებულ პროგრამებში?
11. რა არის ის ძირითადი რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც დაეხმარება დაწესებულებებს პროგრამების განვითარებაში?

კითხვები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრებთან:

1. ახალი დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, რა იყო ის ძირითადი პრობლემები, რომელიც აკრედიტაციის პროცესში გამოიკვეთა?
2. რა არის ის ძირითადი ცვლილებები, რომელიც სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის ამოქმედების შემდეგ პროგრამებში განხორციელდა?
3. თქვენი აზრით, რამდენად საჭიროებს სამართლის დარგობრივი მახასიათებელი ცვლილებებს არსებულ კომპეტენციებთან მიმართებით?
4. რამდენად არის უზრუნველყოფილი პრაქტიკული უნარების გამომუშავება საგანმანათლებლო პროგრამებში?
5. თქვენი აზრით არსებობს თუ არა სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის პროგრამების შინაარსობრივი გამიჯვნის პრობლემა?
6. თქვენი აზრით რა დამატებითი სავალდებულო მოთხოვნების დაწესება გვჭირდება დარგობრივ მახასიათებლებში?
7. თქვენი აზრით რამდენად შეძლეს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების გათვალისწინება?
8. როგორ აფასებთ პროგრამების მიხედვით შრომის ბაზრის კვლევას, რა პრობლემებს ხედავთ ამ მიმართულებით?
9. რას ფიქრობთ რამდენად არის უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები არსებულ პროგრამებში?

10. რა არის ის ძირითადი რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც დაეხმარება დაწესებულებებს პროგრამების განვითარებაში და რომელიც აისახა თქვენს გადაწყვეტილებებში?